



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ქართველური ენათმეცნიერება

ქუთაისი
2012

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ქართველური ენათმეცნიერება

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში.
MA of Humanities Kartvelian Linguistics.

საგანმანათლებლო პროგრამის ავტორი:

სრული პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრატურის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი /მათ შორის 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომით/.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
- მინიმუმ 61-ქულიანი შეფასება სპეციალობაში /ქართული ენა/ გამოცდის დროს (გამოცდა ჩატარდება წერით; შემოწმდება ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხების ცოდნა).

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები, ან მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და დიალექტოლოგიურ (ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ) ექსპედიციებში.

პროგრამის აქტუალურობა და მიზანი:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ქართველური ენათმეცნიერების შესწავლა მსოფლიო ენათმეცნიერული კვლევების კონტექსტში.

მსოფლიოს უძველეს ენებს შორისაა იბერიულ-კავკასიური ენები (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, დაღესტნური და ჩეჩურ-ინგუშური); ამათგან სულ მცირე თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია აქვს მხოლოდ ქართულ სამწიგნობრო ენას; შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ენობრივი ერთეულების ფონემატური სტრუქტურის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კავკასიოლოგიის, ასევე, ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

თანამედროვე მეთოდოლოგიით ქართველური ენობრივი სამყაროს სწავლება და კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ქართველოლოგიისთვის, ვინაიდან ბოლო 200 წელიწადში, ენათმეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდში, საქართველოში მეცნიერების განვითარება ძირითადად იგეგმებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესების გათვალისწინებით. ქართველური ენათმეცნიერების იდეოლოგიზება განსაკუთრებით ინტენსიურად ხდებოდა საბჭოთა

პერიოდში; შესაბამისად, დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს საბჭოური იდეოლოგიებისგან თავისუფალი ენათმეცნიერული აზრის განვითარებას. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული ენის ძველი თუ ახალი გრამატიკები შექმნილია ლათინური ენის გრამატიკის ბაზაზე, რის გამოც ბევრი საკუთრივ ლინგვისტური კვალიფიკაცია ხელოვნურია (რასაც კარგად წარმოაჩენს ის პრობლემები, რომელიც დღეს იქმნება ქართული ენის მანქანური მოდელირების პროცესში). ჩვენი პროგრამის მიზანია, ხელი შეეწყოს ქართული ენის ბუნების შესაბამისი ლოგიკური გრამატიკული მოდელების აგებას.

ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხია, ერთი მხრივ, ქართული ენის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა, გასაგებად და მარტივად ჩამოყალიბებული ენობრივი წესების/ნორმების სწავლება, მეორე მხრივ კი, სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამრავალფეროვნება ქართველური დიალექტური მასალით, საკუთარი სიტყვაწარმოებითი საშუალებებით და დაზღვევა ბარბარიზმებით დამძიმებისაგან და სხვ. შესაბამისად, ჩვენი სამაგისტრო პროგრამის მიზანია ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მაგისტრების აღზრდა, რომლებიც ღირსეულად დაძლევენ თანამედროვე გამოწვევებს; კერძოდ, **სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა, მაგისტრანტმა საფუძვლიანად შეისწავლოს:**

1. საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის...) მიმართება;
 2. ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია;
 3. ქართული ანბანისა და ქართული ენის ფონემების მიმართება (ისტორიული დინამიკა);
 4. სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით: ქართველური (სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების) ფონემატური სტრუქტურა, სახელური და ზმნური პარადიგმები, ქართველური სინტაგმა და ისტორიული ლექსიკა;
 5. ქართველური კილოური ჯგუფები (მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოური, ჰერული, მესხური, ფერეიდნული, ჩვენებურების ქართული და ცენტრალური კილოები; ქართველური დიალექტოლოგიის მოდულში 20 კრედიტი ეთმობა სვანური და ზანური კილოური ჯგუფების პრაქტიკულ შესწავლას/.
- შენიშვნა:** ქართველური ქვესისტემების შესწავლის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ატარებს დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს, რომლებშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის მაგისტრანტებიც /ექსპედიციები განხორციელდა შემდეგ კუთხეებში: რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში/.
6. ქართველური დიალექტების ლექსიკა, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის მარაგი;
 7. ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ნორმალიზაციის თეორიული კურსი...

წარმოდგენილი სასწავლო კურსების მიხედვით სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს, შეისწავლოს და თავად გააანალიზოს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ.

პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, მაგისტრანტს გამოუმუშაოს მკვლევრის უნარ-ჩვევები. ამ მიზნით პროფესორის ხელმძღვანელობით მაგისტრანტი სწავლის პერიოდში მოამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელშიც აკადემიურად იქნება დამუშავებული მოცემული თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა და იქნება მეცნიერული სიახლის შემცველი (სამაგისტრო ნაშრომი მტკიცდება მესამე სემესტრში, დაცვა კი შედგება მეოთხე სემესტრში).

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამის 120 კრედიტი ასე ნაწილდება: 85 კრედიტი - სასწავლო კურსები, 5 კრედიტი - საკურსო შრომა, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

სასწავლო კომპონენტი (85 კრედიტი):

სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. პროგრამის ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნები /30 კრედიტი/;
2. პროგრამის არჩევითი მოდულები და არჩევითი საგნები /სულ 55 კრედიტი/;

კერძოდ:

2.1. არჩევით მოდულებში შემავალი საგნები /სულ 35 კრედიტი/:

2.1.1. I არჩევითი მოდული - ქართული სამწიგნობრო ენა

ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი

ქართული პალეოგრაფია

ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - I

ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - II

ქართული ენის წინადადების მოდელირება

ქართული საეკლესიო მწერლობის ენა /ზოგადი კურსი/

ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები

2.1.2. II არჩევითი მოდული - ქართველური დიალექტოლოგია

ქართველური ფონემატური სტრუქტურა

ქართველური დიალექტების სახელური და ზმნური პარადიგმები (სისტემური ანალიზი)

ქართველური სინტაგმა

მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - I

მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - II

სვანური კილოების პრაქტიკული კურსი -I

სვანური კილოების პრაქტიკული კურსი-II

2.1.3. III არჩევითი მოდული - საეკლესიო მწერლობის ენა

ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონეტიკა

ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (მორფოლოგია) - I

ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (სინტაქსი) - II

საეკლესიო მწერლობის ლექსიკა

ძველი ქართული ხელნაწერები

ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - I

ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - II

2.2. არჩევითი საგნები სამივე მოდულისთვის /20 კრედიტი; სასწავლო კურსების ჩამონათვალი იხ. ქვემოთ/.

სამეცნიერო კომპონენტი (30 კრედიტი).

კვლევის სავარაუდო თემატიკა:

საკვლევი ველი შემოიფარგლება ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემებით (რომელთა ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა):

- ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურა (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური სახელის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ზმნის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ლექსიკა (სახელდების მოტივაცია და ეტიმოლოგიური ძიებები);
- ქართული/ქართველური სინტაგმა (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);

- ქართული/ქართველური წინადადების ანალიზი (სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით);
- ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის მოდელირება;
- ტექსტის ლინგვისტიკა.
- ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის ნორმირება;
- ქართული/ქართველური სამწიგნობრო კულტურის ისტორია;
- ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში;
- საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაცია დღეს;
- ცალკეული ქართველური ენობრივი ერთეულების (სვანური, მეგრულ-ლაზური, რაჭული, მესხური, ფხოური, ჰერული...) ახალი მონაცემების (ტექსტების კორპუსის) შექმნა და მასალის მონოგრაფიული შესწავლა და სხვ.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

პრობლემის აქტუალობა; საკითხის კვლევის ისტორია; ემპირიული მასალის მოძიება, დახარისხება და ანალიზი; საკითხის გარშემო სხვა მეცნიერთა შეხედულებების კრიტიკული ანალიზი; მაგისტრანტის დამოუკიდებელი და განმაზოგადებელი მსჯელობა; დასკვნითი დებულებების ჩამოყალიბება.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გეგმა სემესტრების მითითებით და IV სემესტრის კრედიტების განაწილება:

III სემესტრი /5 კრედიტი/: სამაგისტრო თემის დამტკიცება; სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და მასალის მოძიება /5 კრედიტი/;

IV სემესტრი /25 კრედიტი/: სამაგისტრო თემის დამუშავება /10 კრედიტი/; მოხსენების/მოხსენებების ან პუბლიკაციის /პუბლიკაციების მომზადება /5 კრედიტი/; სამაგისტრო შრომის დაცვა /10 კრედიტი/.

მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის ძირითად დებულებებს საჯაროდ წარადგენს და დაიცავს ენათმეცნიერების მიმართულების პროფესორთა სხდომაზე, სადაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაც.

სამაგისტრო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დახასიათება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების 6 ჯგუფის შესაბამისად /ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები/:

სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტი გაიღრმავებს ბაკალავრიატში მიღებულ ცოდნას იმ დონეზე, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ მას ექნება ცოდნა და ჩვევები, დიასისტემური მეთოდით პროფესიონალურად იკვლიოს ყველა ქართველური ენობრივი ერთეულის ფონემატურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურები და ლექსიკა. მაგისტრანტს შეეძლება მიღებული ცოდნისა და კვლევის უნარის გამოყენება ქართველოლოგიის სხვა დარგებსა და ენათმეცნიერების სხვა სფეროებში; შეეძლება თავისი აზრის მკაფიოდ წარმოდგენა და დასაბუთება დარგის პროფესიონალებთან საჯარო პაექრობის დროს; შეეძლებს თავისი აზრი გააგებინოს არასპეციალისტებს; კერძოდ:

სამაგისტრო პროგრამის ("ქართველური ენათმეცნიერება") კურსდამთავრებულის კომპეტენციები კომპაქტურად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- **ცოდნა და გაცნობიერება** - სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტი გაიღრმავებს ცოდნას ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიაში; მიიღებს აკადემიურ ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში; შეისწავლის ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება მაგისტრატურის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია (საგნების მიხედვით ცოდნის

მიღების შესახებ იხ. "კონკრეტული სასწავლო კურსებისა და კომპეტენციების მიმართების სქემა"), რომელსაც ის გამოიყენებს სწავლების პროცესში და სწავლის შემდგომ ეტაპზე. ასევე, მაგისტრი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრს ექნება საკმარისი კვალიფიკაცია, საჯარო და კერძო სკოლებში წარმატებულად ასწავლოს ქართული სალიტერატურო ენა და ქართველთა ენობრივი სამყარო; შეეძლება წარმატებულად განსაზღვროს სწავლების სტრატეგია და მართოს სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრი სრულფასოვნად იქნება მომზადებული ლინგვისტიკის, ქართველოლოგიისა და ფილოლოგიის დარგების დოქტორანტურისათვის. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს შეეძლება საერთაშორისო ველში არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და კრიტიკული შეფასება; **კურსდამთავრებულს შეეძლება:** ცოდნის ინტეგრირება, ქართული ენის სწავლება, ცალკეული ლინგვისტური (სამეცნიერო) ამოცანების გადაჭრა და ქართული ენის ბუნების შესაბამისი ლოგიკური გრამატიკული მოდელის წარმატებული ძიება და სხვ.

სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულების მიხედვით მიღებული ცოდნა საშუალებს მისცემს კურსდამთავრებულს, თავისი ცოდნა გამოიყენოს სწავლის გაგრძელების პერსპექტივის განსაზღვრისათვის; კერძოდ:

"ქართული სამწიგნობრო ენის" მოდულის შესაბამისად მიღებული ცოდნა /ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა დისტრიბუციის წესები, ბგერათშეერთების კანონზომიერებები (სხვადასხვა ავტორის მიხედვით); სახელისა და ზმნის პარადიგმატული სისტემა; მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიები; ქართული ენის წინადადების აგების სპეციფიკა, ქართული ენის სინტაქსური თავისებურებები; ქართული ენის ტერმინთქმნადობის ისტორია, თავისებურებები; ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ტექსტების პალეოგრაფიული ანალიზი.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს სტანდარტული ენის თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში სტანდარტული ენის კვლევის მიმართულებით/.

"ქართველური დიალექტოლოგიის" მოდულის შესაბამისად მიღებული ცოდნა /ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურის თავისებურებები; ფონემათა ნაირსახეობანი ქართველურ კილოებში; ბგერათა და ბგერათკომპლექსთა ცვლილების კანონზომიერებები; ქართველური სამეტყველო ერთეულების სახელური და ზმნური პარადიგმები (სახელთა ბრუნება, ზმნის უღლება, მწკრივთა სისტემა...); მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი ნიშნები; მეგრულ-ლაზური და სვანური დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი; - ქართველური ქვესისტემების ძირითადი სინტაქსური მოვლენები (სახელური და ზმნური შესიტყვებები); ზეპირი თუ დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მარტივი სინტაქსური კონსტრუქციების სტრუქტურული ნიშნები.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს დიალექტების თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში დიალექტოლოგიის მიმართულებით/.

"საეკლესიო მწერლობის ენის" მოდულის შესაბამისად მიღებული ცოდნა /ბგერათა სისტემა საეკლესიო ენის არქაულ ვარიანტში (საერთოქართველურთან და საერო სამწიგნობრო ენასთან მიმართებით); ფონეტიკური პროცესები ადრეული ქართული ხელნაწერების მიხედვით; ქართული საეკლესიო მწერლობის ენის მორფოლოგიური თავისებურებანი; ენაში მომხდარი მორფოლოგიური ცვლილებები; ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (ავიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ ტექსტთა თარგმანების სინტაქსური კონსტრუქციები; ხელნაწერ ტექსტებზე მუშაობა; ქართული საეკლესიო მწერლობის ლექსიკა; მისი მიმართება საერო მწერლობის ლექსიკასთან; ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს საეკლესიო ენის თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში საეკლესიო მწერლობის ენის

კვლევის მიმართულებით/.

- **დასკვნის გაკეთების უნარი** - მაგისტრს შეეძლება სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, საკამათო საკითხებზე დისკუსია, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი, საკუთარი პოზიციისა თუ თვალსაზრისის ნათლად წარმოდგენა, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა...

- **კომუნიკაციის უნარი** - ჩვენი სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტს გამოუმუშავდება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და ლიტერატურული მასალის მოძიებისა და გამოყენების უნარი; ასევე, შეეძლება ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე.

- **სწავლის უნარი** - პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.

- **ღირებულებები:** ჩვენს მაგისტრს შეეძლება:
 - აკადემიური პარამეტრებით შეაფასოს თავისი და სხვათა დამოკიდებულება ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი ღირებულებებისადმი;
 - ენათმეცნიერების მიმართულებით გარკვეული წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების (კვლევის შედეგების სტანდარტების, ასევე, კვლევის შედეგების შეფასების ახალი სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების) დამკვიდრებაში.

პროგრამის საბოლოო შედეგი: ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობით ჰუმანიტარულ/ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგის ისეთი მაგისტრის მომზადება, რომელიც მზად იქნება ევროპული სივრცის დოქტორანტურისათვის ქართველოლოგია-კავკასიოლოგიასა და ენათმეცნიერებაში. მაგისტრს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები დაეხმარება მეცნიერული კვლევა-ძიება აწარმოოს ქართველოლოგიასა და ენათმეცნიერების სხვა სფეროებში.

კონკრეტული სასწავლო კურსებისა და კომპეტენციების მიმართების სქემა (ვრცელი ვარიანტი):

ს ა გ ნ ე ბ ი		დარგობრივი კომპეტენციები	
		ქართული სამწიგნ. ენის ფონემატურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურების, სალიტ. ენის ნორმათა საფუძვლიანი ცოდნა	ქართველურ ენა-კილოთა ენობრივი სტრუქტურის სისტემური ცოდნა
ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი	+		
ქართული სალიტერატურო ენის სახელისა და ზმნის ფორმაწარმოება	+		
თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირებისა და სტილისტიკის პრობლემები	+		
ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი I - II		+	
ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი	+		
ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები I-II	+		
ქართული ენის წინადადების მოდელირება	+		
ქართული საეკლესიო მწერლობის ენა /ზოგადი კურსი/	+		
ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები		+	
ქართველური ფონემატური სტრუქტურა		+	
ქართველური დიალექტების სახელური და ზმნური პარა-დიგმები (სისტემური ანალიზი)		+	
ქართველური სინტაგმა		+	
სვანური კილოების პრაქტიკული კურსი I-II		+	
მეგრულ-ლაზურული კილოების პრაქტიკ. კურსი I-II		+	
ქართველური ლექსიკოლოგია		+	
ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონეტიკა	+		
ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (მორფოლოგია, სინტაქსი) I-II	+		
საეკლესიო მწერლობის ლექსიკა	+		
ძველი ქართული ხელნაწერები	+		
ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი I-II			
ქართული პალეოგრაფია			
საკურსო შრომა	+	+	
სამაგისტრო შრომა	+	+	

ზოგადი კომპეტენციები	სამეცნიერო ინფორმაციის მოძიების, დამუშავების/ დახარისხების უნარი	+	+		+	+			+	+	+	+	+			+	+	+	+			+	+		
	არგუმენტირებული მსჯელობის უნარი		+	+	+	+	+			+	+	+				+	+	+	+			+	+	+	
	სამეცნიერო პრობლემის გადაჭრისათვის დარგობრივი ცოდნისა და მეთოდების გამოყენების უნარი				+	+		+		+						+		+	+	+			+	+	
	ანალიზისა და სინთეზის უნარი	+	+	+		+		+	+	+	+	+	+	+						+		+	+	+	
	ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი		+	+		+	+				+	+	+	+	+							+	+	+	
	ცოდნის მუდმივი განახლების უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+					+	+					
	განსხვავებული აზრების პატივისცემის უნარი		+		+	+			+	+		+						+	+					+	+
	ჯგუფში მუშაობის უნარი	+			+			+			+							+		+					
	სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი	+		+	+													+		+		+			
	საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი			+			+	+												+		+	+	+	
დისკუსიის უნარი		+		+	+	+							+			+							+	+	
ტექსტის დამუშავების უნარი													+	+	+				+						

კონკრეტული სასწავლო კურსებისა და კომპეტენციების მიმართების სქემა (კომპაქტური ვარიანტი):

სასწავლო გეგმა

№	დისციპლინის დასახელება	კრედიტების რაოდენობა სემესტრების მიხედვით					საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით I კვირის ფარგლებში				შენიშვნა
		I	II	III	IV	სულ	I კურსი		II კურსი		
							I	II	III	IV	
სავალდებულო საგნები											
საერთო საგნები სამივე არჩევითი მოდულისთვის											
1	ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი	5				5	3				
2	ქართული სალიტერატურო ენის სახელისა და ზმნის ფორმალაშენობა		6			6		4			
3	თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირებისა და სტილისტიკის პრობლემები			6		6			4		
4	ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი - I		4			4		2			
5	ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი - II			4		4			2		
6	ქართველური ლექსიკოლოგია	5				5	3				
						30					
I არჩევითი მოდული - ქართული სამწიგნობრო ენა											
1	ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი	5				5	3				
2	ქართული პალეოგრაფია	5				5	3				
3	ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - I		4			4		3			
4	ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - II			4		4			3		
5	ქართული ენის წინადადების მოდელირება			5		5			3		
6	ქართული საეკლესიო მწერლობის ენა /ზოგადი კურსი/		6			6		4			
7	ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები			6		6			4		
						35					
II არჩევითი მოდული - ქართველური დიალექტოლოგია											
1	ქართველური ფონემატური სტრუქტურა	4				4	2				
2	ქართველური დიალექტების სახელური და ზმნური პარადიგმები (სისტემური ანალიზი)	6				6	4				
3	ქართველური სინტაგმა			5		5			3		
4	მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - I		5			5		3			
5	მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - II			5		5			3		
6	სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - I		5			5		3			
7	სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - II			5		5			3		
						35					
III არჩევითი მოდული - საეკლესიო მწერლობის ენა											
1	ქართული საეკლესიო მწერლობის ენის	4				4	2				

I); მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - II (წინაპირობა: მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - I); სვანური კილოების პრაქტიკული კურსი-II (წინაპირობა: სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - I); ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (სინტაქსი) – II (წინაპირობა: ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (მორფოლოგია) – I); (ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - II (წინაპირობა: ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - I); უცხო ენა II (წინაპირობა: უცხო ენა I).

საკონტაქტო და არასააუდიტორიო საათების განაწილების სქემა სასწავლო კურსების მიხედვით:

	პრედიტი	სააუდიტორიო საათები				არასააუდიტ. საათები			სულ
		1	2	3		1	2	3	
სავალდებულო საგნები									
საერთო საგნები სამივე მოდულისთვის									
1	ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი	5	15	30	4	38	18	20	125
2	ქართული სალიტერატურო ენის სახელისა და ზმნის ფორმაწარმოება	6	15	45	5	46	19	20	150
3	თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირებისა და სტილისტიკის პრობლემები	6	15	45	5	46	19	20	150
4	ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი - I	4	15	15	4	36	12	18	100
5	ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი - II	4	15	15	4	37	11	18	100
6	ქართველური ლექსიკოლოგია	5	15	30	4	38	18	20	125
		30							
არჩევითი მოდულები და საგნები									
I არჩევითი მოდული - ქართული სამწიგნობრო ენა									
1	ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი	5	15	30	4	38	18	20	125
2	ქართული პალეოგრაფია	5	15	30	4	41	15	20	125
3	ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - I	4	15	15	4	36	12	18	100
4	ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - II	4	15	15	4	35	13	18	100
5	ქართული ენის წინადადების მოდელირება	5	15	30	4	38	18	20	125
6	ქართული საეკლესიო მწერლობის ენა /ზოგადი კურსი/	6	15	45	5	46	19	20	150
7	ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები	6	15	45	5	47	18	20	150
		35							
II არჩევითი მოდული - ქართველური დიალექტოლოგია									
1	ქართველური ფონემატური სტრუქტურა	4	15	15	4	35	13	18	100
2	ქართველური დიალექტების სახელური და ზმნური პარადიგმები (სისტემური ანალიზი)	6	15	45	5	46	19	20	150
3	ქართველური სინტაგმა	5	15	30	4	39	17	20	125
4	მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული	5		45	4	40	16	20	125

	კურსი	კრედიტი	სააუდიტორიო საათები				არასააუდიტ. საათები			სულ
			1	2	3		1	2	3	
	კურსი - I									
5	მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - II	5		45	4		40	15	20	125
6	სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - I	5		45	4		39	17	20	125
7	სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - II	5		45	4		39	17	20	125
		35								
	III არჩევითი მოდული - საეკლესიო მწერლობის ენა									
1	ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონეტიკა	4	15	15	4		36	12	18	100
2	ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (მორფოლოგია) - I	5	15	30	4		38	18	20	125
3	ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (სინტაქსი) - II	5	15	30	4		38	18	20	121
4	საეკლესიო მწერლობის ლექსიკა	6	15	45	5		46	19	20	150
5	ძველი ქართული ხელნაწერები	5	15	30	4		38	18	20	120
6	ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - I	5		45	4		41	15	20	125
7	ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - II	5		45	4		41	15	20	125
		35								
	არჩევითი საგნები სამივე მოდულისთვის									
1	ქართველოლოგიის ძირითადი პრობლემები (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური... ლიტერატურის მიმოხილვა)	5	15	30	4		41	15	20	125
2	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი	5	15	30	4		38	18	20	125
3	უცხო ენა I	5		36	3		54	15	17	125
4	უცხო ენა II	5		45	3		45	15	17	125
5	თავისებურ ქართულ ზმნათა პარადიგმები	5	15	30	4		38	18	20	125
6	მესხური კილოების პრაქტიკული კურსი	5		45	4		40	16	20	125
7	საქართველოს გარეთ არსებული ქართველური კილოების პრაქტიკული კურსი	5		45	4		40	16	20	125
8	ფხოური კილოების პრაქტიკული კურსი	5		45	4		40	16	20	125
9	ჰერული კილოების პრაქტიკული კურსი	5		45	4		40	16	20	125
10	ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია	5	15	30	4		40	16	20	125
11	ქართველური ონომასტიკა	5	15	30	4		38	18	20	125
12	ქართული დისკურსი და ლინგვოკულტუროლოგია	5	15	30	4		40	16	20	125
13	სამეცნიერო წერის საფუძვლები	5	15	30	4		30	26	20	125
14	თანამედროვე ლინგვისტური თეორიები	5	15	30	4		38	18	20	125
	საკურსო შრომა	5								
	სამაგისტრო შრომა	30								

შენიშვნა:

საკონტაქტო:

1 - ლექცია; 2 - პრაქტიკული მეცადინეობისა და პრეზენტაციების დრო; 3. შუალედური შეფასებებისა და ფინალური გამოცდისთვის საჭირო დრო.

არასააუდიტორიო:

1 - სალექციო კურსის შესაბამისად პრაქტიკული მეცადინეობისათვის მომზადების დრო; 2. პრეზენტაციების მომზადებისათვის საჭირო დრო; 3. შუალედური შეფასებებისა და ფინალური გამოცდის მომზადების დრო.

სწავლების ფორმები:

ლექცია /მაგისტრანტისთვის ძირითადი ინფორმაციის გადაცემა და არასააუდიტორიო სამუშაოს მიცემა/;

პრაქტიკული მეცადინეობა /სააუდიტორიო მუშაობისას მაგისტრანტის ცოდნისა და აზროვნების გააქტიურება სალექციო თემის მიმართულებით; არასააუდიტორიო სამუშაოს შემოწმება/;

პრეზენტაცია /პრაქტიკული მუშაობის დროს სტუდენტისთვის ცოდნის დემონსტრირების სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით/;

სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა /კონსულტაცია/.

სწავლების მეთოდები:

ევრისტიკული მეთოდი /ახალი აზრების ჩამოყალიბების მიზნით/;

დისკუსია/დებატები /არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარების მიზნით/;

დემონსტრირების მეთოდი /ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით/;

ანალიზისა და სინთეზის მეთოდი /საკითხის სხვადასხვა კუთხით შესწავლის მიზნით/;

წერითი მუშაობის მეთოდი /სამეცნიერო ინფორმაციის სისტემატიზება-დახარისხების მიზნით/;

წიგნზე მუშაობის მეთოდი /თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის სრულყოფილად დამუშავების მიზნით/ ;

ინდუქციის მეთოდი /საანალიზო მასალის სრულყოფილი დამუშავებისა და განზოგადების მიზნით/;

შედარება-შეპირისპირების მეთოდი /თვალსაზრისების შეპირისპირების უნარ-ჩვევის გამომუშავების მიზნით/;

გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან...

სტუდენტის ცოდნის შესაფასებელი კომპონენტები, შეფასების მეთოდები და ფორმები:

შესაფასებელი კომპონენტები:

- ლექციაზე აქტიურობის შეფასება;
- დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკულში;
- წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს;
- სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს;
- ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება გამოცდის დროს.

შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, წერიტი დავალება, ჯგუფში მუშაობასა და პრეზენტაციაზე დაკვირვება.

შეფასების ფორმები: შეფასება პრაქტიკულ სამუშაოზე, პრეზენტაციის უნარის შეფასება. შუალედური შეფასება, შემაჯამებელი გამოცდა.

შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ წარმოდგენილი “ა” ქვეპუნქტის ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს 2 შუალედურ შეფასებასა და შემაჯამებელ გამოცდას.

- ცოდნის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით; დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით; კერძოდ, ჩვენი პროგრამით გათვალისწინებულია, რომ დასკვნითი გამოცდის შეფასება შეადგენს 40%-ს (40 ქულას), **ორი შუასემესტრული შეფასება 50%-ია** (25-25 ქულა), ხოლო დანარჩენი **10% გამოყოფილია** სტუდენტის ყველა სხვა აქტივობის შესაფასებლად: ლექცია-პრაქტიკუმებზე აქტიურობა, საშინაო დავალებები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, პრეზენტაციები და ა.შ. ქულების გადანაწილებას მეცადინეობების ამ ტიპებს შორის ახდენს კურსის განმახორციელებელი/ განმახორციელებლები/ პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ეს განაწილება ასახულია საგნის სილაბუსში.

- შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და შემაჯამებელი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

- კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.

- საბოლოო შეფასება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების შეჯამების საფუძველზე.

- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სასწავლო კომპონენტი:

სასწავლო კურსის შედეგს აფასებს კურსის განმახორციელებელი. შეფასების დოკუმენტები ინახება დეკანატში.

სტუდენტის აქტიურობის შეფასება /სულ 10 ქულა/.

აქტიურობა პრაქტიკული მეცადინეობების დროს /აღქმის უნარი, სალექციო თემის დამუშავების სისრულე, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი და სხვ.: **0 - 5 ქულა;**

5 ქულა: შეასრულებს საშინაო დავალებების 90-100%-ს. აქტიურად ჩაერთვება დისკუსიაში.

4 ქულა: შეასრულებს საშინაო დავალებების 80%-ს. ჩაერთვება დისკუსიაში.

3 ქულა: შეასრულებს საშინაო დავალებების 70%-ს, მონაწილეობას მიიღებს შეკითხვების დასმაში.

2-1 ქულა: ასრულებს საშინაო დავალებების 40%-ს.

პრეზენტაციის უნარის შეფასების კრიტერიუმები /მაქსიმალური ქულა -5/

შეფასება	1-2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა
შესავალი /პრობლემის დასმა; მიზნის ჩამოყალიბება /	ტრაფარეტული და უინტერესო შესავალი	შესავალშივე არის მცდელობა აუდიტორიის დაინტერესების	შესავალში საინტერესოდ არის მოწოდებული პრობლემის არსი	შესავალში საინტერესოდ არის მოწოდებული პრობლემის არსი და მოძიებული აქვს მასალა, რომელიც ეფექტურს ხდის მოხსენებას
თემის გასაგებად წარმოდგენა	დარღვეული ა ლოგიკა და ბუნდოვანია	ნაწილობრივ გასაგებია და განმარტებას მოითხოვს	ლოგიკურად არის აგებული, შეინიშნება მცირედი ხარვეზები.	თემა ლოგიკურად არის აგებული, წარმოდგენილი საკითხები ნათელი და გასაგებია.
მსჯელობის უნარი	დაბნეულია, გაუგებრად საუბროს	ხშირად ჩერდება და იმეორებს ერთსა და იმავეს	გამართული და გასაგებია	გამართული და გასაგებია, არ ორჭოფობს, საუბრობს დარწმუნებით
საანალიზო მასალის წარმოდგენა	მწირადაა წარმოდგენილი	არ არის გააზრებული	სრულადაა წარმოდგენილი	ამომწურავადაა წარმოდგენილი საკუთარი დამოკიდებულების ჩვენებით
დასკვნები	არ არის გაკეთებული	დასკვნები გაუმართავი და ულოგიკოა	ლოგიკურია, კარგად არის ჩამოყალიბებული	ლოგიკურია, კარგად არის ჩამოყალიბებული და ორიგინალურია
აუდიტორიას თან კონტაქტი	ვერ ამყარებს კონტაქტს	პერიოდულად ცდილობს კონტაქტს	გრძნობს და ამყარებს კონტაქტს	კარგად ფლობს კომუნიკაციის უნარს
პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე	უჭირს პასუხის გაცემა	პასუხები არ არის გამართული	თითქმის ყველა კითხვას პასუხობს	პასუხობს ყველა კითხვას
სალიტერატურის ფლობა	არადაამაკმაყოფილებელია	მნიშვნელოვანი ხარვეზები აქვს	მცირე ხარვეზები აქვს	გამართულია
თვალსაჩინოების /სქემა, ცხრილი, ნახაზი.../ გამოყენება	არ იყენებს	იყენებს მწირედ	იყენებს	წარმატებით იყენებს
თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა	ცუდად	ნორმალურად	კარგად	ძალიან კარგად

საშუალო არითმეტიკულით დგინდება საბოლოო შეფასება (0-დან 10-მდე).

I შუალედური შეფასება 0 - 25 ქულა. შუალედური შეფასება ტარდება წერიითი ფორმით მე-6 კვირაში; ფასდება სილაბუსის I-V საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერიითი მეტყველების კულტურა.

თითოეული საგამოცდო საკითხი ფასდება 10-ბალიანი სისტემით (საბოლოო შეფასება დგინდება საშუალო არითმეტიკულით; კერძოდ, თუკი საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 3 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 30-ზე და

გამრავლება 25-ზე; ან: თუ საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 5 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 50-ზე და გამრავლება 25-ზე).

10-9 ქულა: პასუხი სრულყოფილად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სრულად ავლენს პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნას, ავლენს პრობლემის გამოკვეთის, გაანალიზებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა, ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით;

8-7 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ არის ფაქტობრივი უზუსტობები, გამოვლენილია პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, სტუდენტი გამოკვეთს პრობლემას, აანალიზებს საკითხს, მსჯელობისას უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხასიათის გადაცდომები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

6-5 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მცირე ფაქტობრივი უზუსტობები, ნაწილობრივ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის ნახევარზე მეტი; შეიმჩნევა რამდენიმე უხეში ხასიათის გადაცდომა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

4-3 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი მეტნაკლებად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, ზეპირი მსჯელობისას სუსტად ავლენს პრობლემის ანალიზისა და მასზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია;

2-1 ქულა: პასუხი მეტად მწირია, სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები, სტუდენტს არ აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტი ენობრივად გაუმართავია;

0 ქულა: საკითხი არ პასუხობს თემას (ან ნაწერი არ არსებობს) .

II შუალედური შეფასება 0 - 25 ქულა. შუალედური შეფასება ტარდება წერითი ფორმით მე-11 კვირაში; ფასდება სილაბუსის VI-X საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა.

თითოეული საგამოცდო საკითხი ფასდება 10-ბალიანი სისტემით (საბოლოო შეფასება დგინდება საშუალო არითმეტიკულით; კერძოდ, თუკი საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 3 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 30-ზე და გამრავლება 25-ზე; ან: თუ საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 5 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 50-ზე და გამრავლება 25-ზე).

10-9 ქულა: პასუხი სრულყოფილად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სრულად ავლენს პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნას, ავლენს პრობლემის გამოკვეთის, გაანალიზებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა, ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით;

8-7 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ არის ფაქტობრივი უზუსტობები, გამოვლენილია პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, სტუდენტი გამოკვეთს პრობლემას, აანალიზებს საკითხს, მსჯელობისას უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხასიათის გადაცდომები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

6-5 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მცირე ფაქტობრივი უზუსტობები, ნაწილობრივ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის ნახევარზე მეტი; შეიმჩნევა რამდენიმე უხეში ხასიათის გადაცდომა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

4-3 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი მეტნაკლებად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, ზეპირი მსჯელობისას სუსტად ავლენს პრობლემის ანალიზისა და მასზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია;

2-1 ქულა: პასუხი მეტად მწირია, სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები, სტუდენტს არ აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტი ენობრივად გაუმართავია;

0 ქულა: საკითხი არ პასუხობს თემას (ან ნაწერი არ არსებობს) .

შემაჯამებელი გამოცდა: 0 - 40 ქულა. შემაჯამებელი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით სემესტრის დასრულების შემდეგ. ფასდება ყველა ძირითადი სალექციო საკითხის ცოდნისა და განცნობიერების დონე. დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა. შემაჯამებელ გამოცდაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცოდნის სინთეზისა და ახალი იდეების კონსტრუირების უნარს. თითოეული საგამოცდო საკითხი ფასდება 10-ბალიანი სისტემით (საბოლოო შეფასება დგინდება საშუალო არითმეტიკულით; კერძოდ, თუკი საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 3 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 3-ზე და გამრავლდება 40-ზე; ან: თუ საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 5 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 5-ზე და გამრავლდება 40-ზე).

10-9 ქულა: პასუხი სრულყოფილად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სრულად ავლენს პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნას, ავლენს პრობლემის გამოკვეთის, გაანალიზებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა, ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით;

8-7 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ არის ფაქტობრივი უზუსტობები, გამოვლენილია პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, სტუდენტი გამოკვეთს პრობლემას, აანალიზებს საკითხს, მსჯელობისას უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხასიათის გადაცდომები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

6-5 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მცირე ფაქტობრივი უზუსტობები, ნაწილობრივ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის ნახევარზე მეტი; შეიმჩნევა რამდენიმე უხეში ხასიათის გადაცდომა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

4-3 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი მეტნაკლებად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, ზეპირი მსჯელობისას სუსტად ავლენს პრობლემის ანალიზისა და მასზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია;

2-1 ქულა: პასუხი მეტად მწირია, სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები, სტუდენტს არ აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტი ენობრივად გაუმართავია;

0 ქულა: საკითხი არ პასუხობს თემას (ან ნაწერი არ არსებობს) .

სამეცნიერო კომპონენტი:

მაგისტრანტის მიერ დაწერილი სამაგისტო ნაშრომის /ასევე: წაკითხული მოხსენების, დაწერილი სტატიის/ შესაფასებელი კომპონენტები

1	თემის აქტუალობის წარმოჩენა	100
2	პრობლემის წარმოჩენა	100
3	თემატიკის თეორულ დებულებათა არსში წვდომა	100
4	ნაშრომის ძირითადი ნაწილის გეგმის სწორად აგება და რეალიზება	100

5	კვლევის შედეგების შესაბამისობა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან	100
6	შემდგომი კვლევის მოტივაცია /შემდგომი კვლევის პერსპექტივის წარმოჩენა/	100
7	კრიტიკული აზროვნება	100
8	მოხსენების თემასთან კვლევის მეთოდების შესაბამისობა	100
9	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება	100
10		

შენიშვნა: კომპონენტების შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით; საბოლოო შეფასება მიიღება თითოეული შეფასებული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით.

ცოდნის საბოლოო შეფასება ხდება დაგროვილი ქულების საერთო ჯამით შემდეგი სქემის შესაბამისად:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფეროები

"ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც ძირითადი ენათმეცნიერული პრობლემების მცოდნე სპეციალისტს (რომელმაც კარგად იცის ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური ენა-ვილოების ძირითადი თავისებურებები), შეეძლება იმუშაოს:

- უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული ენის (და ლიტერატურის) მასწავლებლად (განათლების მიმართულებით სათანადო დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ);
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და არქივში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- სახელისუფლებო და კერძო ორგანიზაციების სტრუქტურებში...
- ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციაში, ტელევიზიაში, რადიოსა და სხვა მსგავს დაწესებულებაში...

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრს შეეძლება სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ქართველური ენათმეცნიერების, ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის, შედარებითი ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, კულტუროლოგიისა და მეცნიერების სხვა მომიჯნავე სპეციალობებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა და მატერიალური და ფინანსური რესურსები

ა) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა სრულადაა დაკომპლექტებული მაგისტრატურაში საჭირო სამეცნიერო ლიტერატურითა და სახელმძღვანელოებით. ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრანტს შეეძლება იმუშაოს აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების არქივში დაცულ მეგრულ, სვანურ, იმერულ, რაჭულ, იმერხეულ, ტაოურ, აჭარულ, ქალაქურ (ქუთაისურ) დიალექტურ ტექსტებზე მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით შესწავლის მიზნით. მაგისტრანტს შეეძლება, აგრეთვე, იმუშაოს აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების საველე ექსპედიციების ბაზებზე (სვანეთში, ტაოში, იმერხევეში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში...);

ბ) ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კეთილმოწყობილი აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა /ახალი თაობის კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები.../ და ინტერნეტქსელით;

გ) სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის დიდი ნაწილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ერიცხება უნივერსიტეტის შემოსავლებიდან; ბიუჯეტის ნაწილი ივსება მაგისტრანტების მიერ მიღებული სახელმწიფო გაუჩერებითა და გადასახადებით.

სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად სტაბილურია, ხოლო შემოსავლები და ხარჯები/გასავალი მყარადაა დაბალანსებული.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით სამაგისტრო პროგრამა ძირითადად განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების მიმართულების ორი სრული პროფესორის /ლექციები/, ათამდე ასოცირებული პროფესორისა /ლექციები, პრაქტიკუმები/ და ასისტენტ-პროფესორის /პრაქტიკუმები/ მიერ; კერძოდ, პროგრამაში ჩართული არიან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ტარიელ ფუტყარაძე, მარინე ქაცარავა, რუსუდან საღინაძე, ეკა დადიანი, ნინო ფხაკაძე, ნატო წულეისკირი, თამარ ლომთაძე, მაია მიქაუტაძე და სხვ. სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობენ აგრეთვე დარგის სპეციალისტები: ელისო ქორიძე, მაია ალავიძე, ლელა ავალიანი, ეკატერინე გაჩეჩილაძე, ლუიზა ხაჭაპურიძე, ლალა კობეშავიძე და სხვ. დასახელებული პროფესორები არიან ცნობილი მეცნიერები, რომელთა ნაშრომები აქტიურად ქვეყნდება ბოლო პერიოდის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში და აქვთ უმაღლეს სკოლაში სწავლების დიდი პრაქტიკა.

არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად შეიძლება მიღებულ იქნას 12 მაგისტრანტი.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი საგნების ანოტაციები

სამივე მოდულისთვის საერთო საგნები

კურსის კოდი: HLM0040

კურსის დასახელება: ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი (5 კრედიტი)

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი სამწიგნობრო ქართული ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი; სამაგისტრო კურსი ითვალისწინებს ქართული სალიტერატურო ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა პარადიგმატულ დახასიათებას (სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე).

სტუდენტებს ვთავაზობთ ჩვენეულ ვარიანტსაც; კერძოდ:

ხმოვნები: დაბალი აწეულობის უკანა (შუა) რიგის - ა; საშუალო და მაღალი აწეულობის ბაგისმიერი ხმოვნები: ო, უ; საშუალო და მაღალი აწეულობის პალატალური ხმოვნები: ი, ე. არაიშვიათად, ზეპირ მეტყველებაში ი და უ უმარცვლო ვარიანტებადაც ვლინდება; შესაბამისად, შესაძლებელია მათი განხილვა სონანტებადაც. თანხმოვნები: ბაგისმიერები: ბ, ფ, პ, მ, ვ; კბილისმიერები: დ, თ, ტ; წინანუნისმიერები: ძ, ც, წ, ზ, ს; უკანანუნისმიერები: ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ; რბილსასისმიერები: გ, ქ, კ; ლ, ხ; ხახისმიერი: ყ; ხორხისმიერი - ჰ.

სამეტყველო ბგერათა გამოწვლილვითი ანალიზი საშუალებას იძლევა: ზუსტად დახასიათდეს ფონეტიკური მოვლენები, რაც აადვილებს სიტყვათა ეტიმოლოგიას, სესხებისას არსებული კანონზომიერების დადგენას, ენათა ისტორიის შესწავლას, ენათა და დიალექტთა ნათესაობის შესახებ მსჯელობას, ენობრივი ნორმების დადგენას...

კურსის ბოლოს მაგისტრანტს თავისუფლად უნდა შეეძლოს ქართული ენის სამეტყველო ბგერების პარადიგმატული ანალიზი, ამ ცოდნის პრაგმატული გამოყენება (ეტიმოლოგიებისას, ენათა/კილოთა მიმართებების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ანალიზისას, ნორმირებისას და ა.შ.) და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება.

კურსის კოდი: HLM0050

კურსის დასახელება: ქართული სალიტერატურო ენის სახელისა და ზმნის ფორმაწარმოება (6 კრედიტი)

ქართული ენა თავისი სტრუქტურითა და სპეციფიკური ბუნებით სრულიად განსხვავებულია ევროპული ენებისაგან. სახელი ქართულში შედარებით მარტივია, სამაგიეროდ, მეტად რთული და მრავალფეროვანია ზმნა, რომელსაც გააჩნია რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია. სახელური და ზმნური ყალიბები ისტორიულად იცვლებოდა, რასაც სათანადო კვალიფიკაცია ეძლევა სამეცნიერო ნაშრომებში.

საგნის მიზანია სახელური და ზმნური ყალიბების ფორმოზოგი-ფუნქციური მიმართების გარკვევა ენის განვითარების ისტორიულ ჭრილში სხვადასხვა ავტორის მიხედვით.

მაგისტრანტი უნდა ფლობდეს სახელისა და ზმნის თავისებურებებს კატეგორიათა მიხედვით და საფუძვლიანად იცნობდეს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას.

მაგისტრანტს უნდა შეეძლოს ზმნისა და სახელის პარადიგმატულ სისტემაში გარკვევა, ქართულში ისტორიულად მომხდარ ცვლილებათა ფორმოზოგი ანალიზი.

კურსის კოდი: HLM0070

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირებისა და სტილისტიკის პრობლემები (6 კრედიტი)

ქართული სამწიგნობრო ენის ნორმების შესწავლის მიზანია სამწიგნობრო ენის ნორმების ზოგადი საფუძვლების, ნორმათა დადგენის პრინციპების გაცნობა და სტილისტიკის პრობლემური საკითხების დამუშავება.

ნორმის გამომუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს. ამ მხარის მოვლა, ნორმისათვის ობიექტური საფუძვლის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, ენის სპეციალისტს ევალება.

მაგისტრანტი უნდა ფლობდეს: ქართული სამწიგნობრო ენის ახალ ნორმებს, ნორმირების საკითხებს, ნორმათა დადგენის პრინციპებსა და საფუძვლებს.

მაგისტრანტმა უნდა შეძლოს: სამწიგნობრო ენის ნორმირების საკითხებზე მსჯელობა; ენაში მომხდარი ცვლილებების აღნუსხვა; მართებულ და უმართებულ ფორმათა გამიჯვნა; ენობრივ დარღვევათა ანალიზი.

კურსის კოდი: HLM0080

კურსის დასახელება: **ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი - I** (4 კრედიტი)

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემურ საკითხებზე მსჯელობას. კერძოდ,, მაგისტრანტს შეპირისპირებითი მეთოდით შეასწავლოს ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურა; კურსის ფარგლებში წარმოჩნდება ქართველური ქვესისტემების საერთო მახასიათებლები და თავისებურებები.

განიხილება: ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური სამეტყველო ერთეულების ისტორიული ურთიერთმიმართება; საერთოქართველური ფუძე-ენის დათარიღებისა და დივერგენციის საკითხები; კონვერგენციის პრობლემები ქართველური ენა-კილოებთან მიმართებით...

სასწავლო კურსის გავლის პროცესში მაგისტრანტი გამოიმუშავებს აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურისა და საინტერნეტო მასალების მოძიების უნარ-ჩვევებს.

კურსის კოდი: HLM0090

კურსის დასახელება: **ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი - II** (4 კრედიტი)

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, მაგისტრანტს შეპირისპირებითი მეთოდით შეასწავლოს ქართველური დიალექტების მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი მახასიათებლები; კურსის ფარგლებში წარმოჩნდება ქართველური ქვესისტემების საერთო მახასიათებლები და თავისებურებები.

ყურადღება მახვილდება საკუთრივ ამა თუ იმ დიალექტისათვის ან დიალექტთა ჯგუფისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ქართული სამწიგნობრო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების უპირველეს საფუძველს წარმოადგენს...

სასწავლო კურსის გავლის პროცესში მაგისტრანტი გამოიმუშავებს აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურისა და საინტერნეტო მასალების მოძიების უნარ-ჩვევებს.

კურსის კოდი: HLM0110

კურსის დასახელება: **ქართველური ლექსიკოლოგია** (5 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს ქართველური ლექსიკის ისტორიულ ცვლილებათა დინამიკის შესწავლას; კერძოდ განიხილება: სახელდების მოტივაცია, ძირითადი და პერიფერიული ლექსიკა, როგორც სამწიგნობრო ენის ბაზა; დიალექტური, პროფესიული და დარგობრივი ლექსიკა, ქართველური ლექსიკის ფორმობრივ-სემანტიკური ისტორიისა და ეტიმოლოგიის

ძირითადი პრობლემები, ძირეული და ნასესხები ლექსიკის პროცენტული მიმართება ისტორიულ პროცესებთან, სიტყვათა სემანტიკური ბუდეებისა და ლექსიკური პარადიგმატიკის საკითხები...

I არჩევითი მოდული (ქართული სამწიგნობრო ენა)

კურსის კოდი: HLM0100

კურსის დასახელება: **ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი** (5 კრედიტი)

ქართული სამწიგნობრო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზის მიზანია ქართული სამწიგნობრო ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა სინტაგმატური დახასიათება (სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე).

კურსი ითვალისწინებს ბგერათკომპლექსთა ცვლილებების ანალიზს. ზოგადად, ფონეტიკური ცვლილებების შესწავლას (ქართული სამწიგნობრო ენის მასალის მიხედვით); ყურადღება მახვილდება სალიტერატურო ენაში მოქმედ ფონოტაქტიკის წესებზე, ბგერათცვლილების ზოგად კანონზომიერებებზე...

კურსის გავლის შედეგად მაგისტრანტს შეეძლება დიასისტემური მეთოდით პროფესიონალურად იკვლიოს ქართული სამწიგნობრო ენის ფონემატური სტრუქტურა.

კურსის კოდი: HLM0461

კურსის დასახელება: **ქართული პალეოგრაფია** (5 კრედიტი)

საგანი შეისწავლის ქართული პალეოგრაფიის ანუ დამწერლობათმცოდნეობის მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ, ქართული დამწერლობის წარმოშობასთან დაკავშირებულ პრობლემებს (თეორიებს, ქრონოლოგიის საკითხს...). მაგისტრანტები უძველეს წერილობით ძეგლთა მონაცემებზე დაყრდნობით გაეცნობიან ქართული დამწერლობის სახეობათა დამახასიათებელ თავისებურებებს, მოახდენენ ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ტექსტების პალეოგრაფიულ ანალიზს.

კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს შესაძლებლობა ექნება იკვლიოს ქართული დამწერლობის პრობლემური საკითხები, ამოიკითხოს, გაშიფროს უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები და მოახდინოს მათი პალეოგრაფიული ანალიზი.

კურსის კოდი: HLM0120

კურსის დასახელება: **ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები - I** (4 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს სახელის კატეგორიებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვას; კერძოდ, შეისწავლება: ბრუნვის კატეგორიის სხვადასხვაგვარი გაგება (ბრუნვის განმარტება უნდა ემყარებოდეს საკუთრივ მორფოლოგიურ ნიშანს და არა ფონეტიკურს ან სინტაქსურს), ბრუნვათა სხვადასხვა რაოდენობის მოტივაციები... ბრუნვის ნიშნები განიხილება, ერთი მხრივ, როგორც ფორმამაწარმოებელი და მეორე მხრივ, სიტყვამაწარმოებელი ფუნქციებით. დაწვრილებით შეისწავლება სახელთა ფორმაცვალების კანონზომიერებანი; მარტივი, რთული, შედგენილი, ლოკალური და თანდებულიანი ბრუნვები (სხვადასხვა ავტორის მიხედვით).

კურსის ბოლოს მაგისტრანტს უნდა შეეძლოს სახელურ კატეგორიებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა.

კურსის კოდი: HLM0160

კურსის დასახელება: **ქართული სალიტერატურო ენის სახელური და ზმნური კატეგორიები -II** (4 კრედიტი)

კურსი მიზნად ისახავს ზმნის კატეგორიებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას; კატეგორიათა მიხედვით ზმნის თავისებურებათა დახასიათებას და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას, ძველსა და ახალ ქართულში მომხდარ ცვლილებათა ფორმალურ-სემანტიკურ ანალიზს. დაწვრილებით შეისწავლება ზმნის ფორმაცვალების კანონზომიერებანი...

ზმნური კატეგორიების შესწავლისას ყურადღება მახვილდება სხვადასხვა ავტორის თვალსაზრისზე მორფოლოგიური, ე.წ. წარმოქმნის კატეგორიების შესახებ; საგანგებოდ განიხილება ე.წ. დიათეზები და სხვ.

კურსის ბოლოს მაგისტრანტს შეეძლება ზმნურ კატეგორიებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა; ენის განვითარების დიაქრონიულ ჭრილში ზმნური ყალიბების ფორმოზრივ-ფუნქციური მიმართების გარკვევა.

კურსის კოდი: HLM0130

კურსის დასახელება: **ქართული ენის წინადადების მოდელირება** (5 კრედიტი)

ქართული ენის წინადადება სტრუქტურულად მრავალფეროვანია. ქართულში, ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სემანტიკის გამოსახატავად ერთმანეთს ენაცვლება განსხვავებული მოდელის წინადადებები (როგორც მარტივი, შერწყმული, ისე რთული).

საგნის შესწავლის მიზანია მომავალი სპეციალისტი აზრობრივ-სტილისტური გამომსახველობითი ნიუანსების სიზუსტისათვის ზედმიწევნით ფლობდეს ქართული ენის წინადადების მოდელირების თანამედროვე პრინციპებს, შეეძლოს ამ ასპექტით ქართული ენის წინადადების სპეციფიკურობისა და ნიშანდობლიობის გამოკვეთა სხვა ენათა მონაცემების შეპირისპირებით.

კურსის კოდი: HLM0140

კურსის დასახელება: **ქართული საეკლესიო მწერლობის ენა /ზოგადი კურსი/** (6 კრედიტი)

კურსის მიზანია საეკლესიო მწერლობის ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის გაცნობა; საეკლესიო და საერო მწერლობის ენათა შეპირისპირება.

საგნის შესწავლისას განხილული იქნება პრობლემური საკითხები ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან... გათვალისწინებული იქნება ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ წიგნთა თარგმანების ენობრივი თავისებურებანი. აღნიშნულ ძეგლებში წარმოდგენილი ლექსიკის გაცნობა შესაძლებელი გახდება სათანადო ლექსიკონების გამოყენებით. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს საეკლესიო მწერლობის ძეგლთა ლინგვისტური ანალიზი და სალექსიკონო მუშაობა.

კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიის სრულფასოვანი გააზრებას.

კურსის კოდი: HLM0150

კურსის დასახელება: **ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები** (6 კრედიტი)

ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრის წარმოჩენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ტერმინოლოგიის/ლექსიკის ისტორიის შესწავლას. ლექსიკოლოგიურ და ტერმინოლოგიის საკითხებზე სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული; საჭიროა მათი

შესწავლა-შეჯერება.. კერძოდ, კურსში ყურადღება მახვილდება ტერმინთქმნადობის პრობლემებზე, ტერმინთა სესხების ისტორიასა და პერსპექტივებზე, ქართველურ კილოებში დაცულ უზღვავე ტერმინოლოგიური მასალის გამოყენების აუცილებლობაზე; საეკლესიო და საერო ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხებზე და სხვ.

მაგისტრანტი კურსის გავლის შემდეგ უნდა ერკვეოდეს:

ტერმინის, როგორც ენობრივი ნიშნის, არსში, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართებაში; უნდა შეეძლოს იკვლიოს: სიტყვის მნიშვნელობათა ისტორია და სახელდების მოტივაცია; ტერმინთა ტიპები და სხვ.

II არჩევითი მოდული (ქართველური დიალექტოლოგია)

კურსის კოდი: HLM0170

კურსის დასახელება: **ქართველური ფონემატური სტრუქტურა** (4 კრედიტი)

კურსში შეისწავლება ქართველური სამეტყველო ერთეულებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური სისტემა: სამეტყველო ბგერები, ფონეტიკური ცვლილებანი (სამწიგნობრო ენასთან მიმართებით); ყურადღება გამახვილდება ქართველური ქვესისტემებში ბგერათცვლილების ზოგად, საერთო კანონზომიერებებზე. ამასთანავე, გაანალიზებული იქნება სპეციფიკური მოვლენებიც, რომლებიც კომბინატორული ცვლილებით ან სუპერსტრატული გავლენით არის შეპირობებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უცხო ენობრივ სივრცეში მოქცეული ქართველური კილოების (ჭანური, იმერხეული, ინგილოური, ფერეიდნული...) ფონემატური სტრუქტურა, სადაც თავს იჩენს საერთოქართველურისათვის უცხო, განსხვავებული ბგერები.

სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ უნდა ერკვეოდეს ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურის ძირითად საკითხებში (სამეტყველო ბგერები, ფონეტიკური ცვლილებანი...).

მაგისტრანტმა უნდა შეძლოს: ამჟამინდელი ზეპირი ქართველური სამეტყველო ერთეულების (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული) ფონემატური სისტემის ზოგადი დახასიათება; ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით ქართველთა ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო ფონეტიკური კანონზომიერებების გამოყოფა; სპეციფიკური მოვლენების ანალიზი; სამეცნიერო კვლევები.

კურსის კოდი: HLM00180

კურსის დასახელება: **ქართველური დიალექტების სახელური და ზმნური პარადიგმები (სისტემური ანალიზი)** (6 კრედიტი)

თანამედროვე ქართველურ ენა-კილოებს მეტ-ნაკლებად საერთო თუ განსხვავებული სახელური და ზმნური პარადიგმები აქვს; კურსი ითვალისწინებს დიალექტურ მონაცემთა შეპირისპირებით ანალიზს: პირველ რიგში გაანალიზდება საერთოქართველურიდან მომდინარე და სამწიგნობრო ქართულთან საერთო სახელური და ზმნური ყალიბები; შემდეგ მოხდება განსხვავებული ბრუნვისა და მწკრივის ფორმათა ანალიზი (წარმომავლობა, სტრუქტურის ანალიზი...).

ქართველურ ენა-კილოთა მიხედვით დაწვრილებით განიხილება: სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: ბრუნვათა რაოდენობა, ბრუნვის ნიშნები და მათი ალომორფები, ბრუნვათა ტიპები და ფუნქციები; სახელთა ფორმაცვალების კანონზომიერებანი; კერძობითი მოვლენები სახელთა ბრუნებაში... მარტივი, რთული და თანდებულებანი ბრუნვები (სხვადასხვა ავტორის მიხედვით).

ზმნურ პარადიგმებში შეისწავლება: პირისა და რიცხვის გამოხატვა, მწკრივთა წარმოება... საერთო და განსხვავებული მოვლენები. თითოეული მწკრივი შეისწავლება ფორმობრივი

თვალსაზრისით. გაანალიზდება მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული არსებითი საკითხები: მწკრივთა რაოდენობა, ზმნისწინის ფუნქციები, მაწარმოებელი სუფიქსები...

მაგისტრანტს უნდა შეეძლოს ქართველური სამეტყველო ერთეულების სახელური და ზმნური სტრუქტურის ზოგადი დახასიათება სამწიგნობრო ენასთან მიმართებით; ქართველურ კილოთა სახელის ბრუნებასა და მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა.

კურსის კოდი: HLM0190

კურსის დასახელება: **ქართველური სინტაგმა** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სახელური და ზმნური შესიტყვებები ქართველურ სამეტყველო ერთეულებში; ქართულ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით განიხილოს და წარმოაჩინოს საერთო და განსხვავებული მომენტები. სახელურ შესიტყვებებში ყურადღება გამახვილებულია სახელისა და სახელის ურთიერთობაზე ბრუნვასა და რიცხვში; მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპები.

ზმნურ შესიტყვებებში განსაკუთრებით საინტერესოა ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა; ერგატიული კონსტრუქცია როგორც საერთოქართველურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენა. განიხილება, აგრეთვე, შემასმენლისა და ობიექტების/წინადადების სხვა წევრთა ურთიერთმიმართება; გამოიკვეთება ქართველური დიალექტებისა და ზეპირი მეტყველების თავისებურებანი სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

კურსი ითვალისწინებს ქართველური ენობრივი ერთეულების ძირითადი და მეორეული სტრუქტურების მიმართების გამოვლენას.

კურსის კოდი: HLM0220

კურსის დასახელება: **მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - I** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია ზანური კილოების პრაქტიკული შესწავლა (ერთი რომელიმე ზანური დიალექტის დაუფლება); ფონეტიკური მოვლენებისა და დიალექტური ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა. მაგისტრანტები საგანგებოდ შეისწავლიან ლექსიკურ ერთეულებს ცალკეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს მეგრული/ჭანური მეტყველების დაუფლებას.

კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება მეგრული ლაზური (ჭანური) დიალექტური ტექსტების ფონეტიკური ანალიზი; განსხვავებული ბგერებისა თუ ფონეტიკური ცვლილებების (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, რედუქცია, ბგერის დაკარგვა-განვითარება...) ახსნა.

კურსის კოდი: HLM0230

კურსის დასახელება: **მეგრულ-ლაზური კილოების პრაქტიკული კურსი - II** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია ზანური კილოების პრაქტიკული შესწავლა (ერთი რომელიმე ზანური დიალექტის დაუფლება), ზანური კილოების ძირითადი ენობრივი (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური...) მოვლენებისა და დიალექტური ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა. მაგისტრანტები საგანგებოდ შეისწავლიან ლექსიკურ ერთეულებს ცალკეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს მეგრული/ჭანური მეტყველების დაუფლებას.

კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება მეგრული და ლაზური (ჭანური) დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი; ძირეულ და გრამატიკულ მორფემათა

გამოყოფა; სახელისა და ზმნის მთლიანი პარადიგმის შედგენა; მარტივი კონსტრუქციების შედგენა...

კურსის კოდი: HLM0200

კურსის დასახელება: **სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - I** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია სვანური კილოების პრაქტიკული შესწავლა (ერთი რომელიმე სვანური დიალექტის დაუფლება), სვანური კილოების ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისა და სვანური დიალექტური ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა. მაგისტრანტები საგანგებოდ შეისწავლიან ლექსიკურ ერთეულებს ცალკეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს სვანური მეტყველების დაუფლებას.

კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება სვანური დიალექტური ტექსტების ანალიზი, ძირითადი ფონეტიკური ცვლილებების (უმლაუტი, ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია...) ახსნა.

კურსის კოდი: HLM0210

კურსის დასახელება: **სვანური კილოების პრაქტიკული კურსი - II** (5 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს სვანური კილოების პრაქტიკულ შესწავლას (ერთი რომელიმე სვანური დიალექტის დაუფლებას), სვანური კილოების ძირითადი ენობრივი (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური...) მოვლენებისა და სვანური დიალექტური ლექსიკის საფუძვლიან შესწავლას. მაგისტრანტები საგანგებოდ შეისწავლიან ლექსიკურ ერთეულებს ცალკეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს სვანური მეტყველების დაუფლებას.

კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება სვანური დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი; ძირეულ და გრამატიკულ მორფემათა გამოყოფა; ცალკეული სახელებისა და ზმნების მთლიანი პარადიგმის შედგენა; მარტივი კონსტრუქციების შედგენა...

III არჩევითი მოდული (საეკლესიო მწერლობის ენა)

კურსის კოდი: HLM0320

კურსის დასახელება: **ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონეტიკა** (4 კრედიტი)

კურსის მიზანია, მაგისტრანტს შეასწავლოს ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონემატური სტრუქტურის ძირითადი საკითხები; კერძოდ:

- ხმოვანთა, თანხმოვანთა და სონანტთა სინტაგმატური დახასიათება;
- ცალკეულ ბგერათა თუ ბგერათკომპლექსთა ცვლილებების ანალიზი;
- არქაული სამწიგნობრო ენის ფონემატური სტრუქტურა და ასომთავრული ანბანის საბაზო ენის საკითხი;
- სონანტთა ალომორფების ასო-ნიშნები ასომთავრულში; დიფთონგები და მათი აღმნიშვნელი გრაფემები;
- სამწიგნობრო ენის სასულიერო სტილის თავისებურებები ისტორიული დინამიკის გათვალისწინებით
- დიალექტიზმები საეკლესიო ენის მიხედვით...

კურსის კოდი: HLM0330

კურსის დასახელება: ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (მორფოლოგია) - I (5 კრედიტი)

კურსის მიზანია საეკლესიო მწერლობის ენის გრამატიკული წყობის გაცნობა; საეკლესიო და საერო მწერლობის ენათა შეპირისპირება.

საგნის შესწავლისას განხილული იქნება მორფოლოგიის პრობლემური საკითხები; გათვალისწინებული იქნება ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ წიგნთა თარგმანების ენობრივი თავისებურებანი. აღნიშნულ ძეგლებში წარმოდგენილი ლექსიკის გაცნობა შესაძლებელი გახდება სათანადო ლექსიკონების გამოყენებით. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს საეკლესიო მწერლობის ძეგლთა ლინგვისტური ანალიზი და სალექსიკონო მუშაობა.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი უკეთ გაერკვევა ქართული საეკლესიო მწერლობის ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში, მორფოლოგიის პრობლემურ საკითხებში, ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ წიგნთა თარგმანების ენობრივ თავისებურებებში. იგი შეძლებს:

- 1) ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლებზე (წარწერებზე, ხელნაწერებზე, დოკუმენტებზე...) მუშაობას;
- 2) საეკლესიო მწერლობის ძეგლთა ლინგვისტურ ანალიზს;
- 3) საეკლესიო და საერო მწერლობის ენათა შეპირისპირებას;
- 4) ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიის სრულფასოვან გააზრებას.

კურსის კოდი: HLM0340

კურსის დასახელება: ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (სინტაქსი) - II (5 კრედიტი)

კურსის მიზანია საეკლესიო მწერლობის ენის სინტაქსური წყობისა და ლექსიკური ფონდის გაცნობა; საეკლესიო და საერო მწერლობის ენათა შეპირისპირება.

საგნის შესწავლისას გათვალისწინებული იქნება ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ წიგნთა თარგმანების სინტაქსური თავისებურებანი. აღნიშნულ ძეგლებში წარმოდგენილი ლექსიკის გაცნობა შესაძლებელი გახდება სათანადო ლექსიკონების გამოყენებით.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი უკეთ გაერკვევა ქართული საეკლესიო მწერლობის ენის სინტაქსის პრობლემურ საკითხებში, ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ წიგნთა თარგმანების სინტაქსურ თავისებურებებში.

კურსის კოდი: HLM0350

კურსის დასახელება: საეკლესიო მწერლობის ლექსიკა (6 კრედიტი)

კურსის მიზანია მაგისტრანტებს გააცნოს: ქართული საეკლესიო მწერლობის ლექსიკა; მისი მიმართება საერო მწერლობის ლექსიკასთან; აჩვენოს ქართული ენის ლექსიკური ფონდის ცვლილების დინამიკა; უცხო ენათა ზეგავლენა საეკლესიო მწერლობის ლექსიკაზე... ძველი ქართული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები; ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების პრინციპები...

სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შედეგად მაგისტრანტი შეძლებს საეკლესიო მწერლობის ლექსიკის საფუძვლიან დახასიათებას საერო მწერლობის ლექსიკასთან მიმართებით; აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევას, როგორცაა: თარგმანების გზით ქართულ ენაში შემოსული დარგობლივი ტერმინოლოგია,

სიტყვაწარმოების ყალიბები, ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის ცვლილების დინამიკა...

კურსის კოდი: HLM0360

კურსის დასახელება: **ძველი ქართული ხელნაწერები** (5 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ფონდებში, საცავებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ არსებული მასალის დამუშავებას, ხელნაწერთა სახეობების გაცნობას, ხელნაწერზე მუშაობის წესებისა და ტექნიკის დაუფლებას, ხელნაწერთმცოდნეობის იმ მნიშვნელოვანი მეთოდების ათვისებას, რაც აუცილებელია უძველეს ხელნაწერთა მოვლისა და დაცვისათვის.

საგნის შესწავლა მაგისტრანტს მისცემს შესაძლებლობას, იმუშაოს ძველ წერილობით ძეგლებზე, მუზეუმებსა და საცავებში დაცულ ხელნაწერებზე, იკვლიოს ისინი პალეოგრაფიული, ენობრივი... თვალსაზრისით; მოახდინოს მათი კლასიფიკაცია სათანადო ნიშნების მიხედვით.

კურსის კოდი: HLM0370

კურსის დასახელება: **ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - I** (5 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების, აგრეთვე ხანძმეტი, ჰაემეტი, სანწარევის ხელნაწერების ფონეტიკულ-ორთოგრაფიულ ანალიზს, ძველი ქართული ტექსტების მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებების განხილვას, პრობლემური საკითხების ირგვლივ არსებული სამეცნიერო მოსაზრებების გაცნობას.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება:

1. V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ლინგვისტური ანალიზი;
2. სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლებში დადასტურებული ენობრივი მოვლენების შეპირისპირება;

მაგისტრანტს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები დაეხმარება პროფესიულ დონეზე ლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზოს ძველი ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერების, ხელნაწერების, ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებების...)

კურსის კოდი: HLM0310

კურსის დასახელება: **ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი - II** (5 კრედიტი)

კურსი მიზნად ისახავს ძველი ქართული ტექსტების ენაში არსებული ლექსიკური ერთეულების, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური მოვლენების ანალიზს; განიხილება ძველი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების, ადრეული საერო მწერლობის ნიმუშების, აგრეთვე სამართლის ძეგლების, სხვა დოკუმენტების ენობრივი თავისებურებანი...

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება: სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლებში დადასტურებული ენობრივი მოვლენების ანალიზი, შეპირისპირება; ტექსტების სხვადასხვა სტილური ვარიანტების გარჩევა.

მაგისტრანტს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები დაეხმარება პროფესიულ დონეზე მოახდინოს V-XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების (წარწერების, ხელნაწერების, ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებების...) ლინგვისტური ანალიზი.

საკურსო შრომა (5 კრედიტი)

კოდი: HLM0480

სამაგისტრო შრომა (30 კრედიტი)

კოდი: HLM0490

არჩევითი საგნების ანოტაციები

კურსის კოდი: HLM0381

კურსის დასახელება: **ქართველოლოგიის ძირითადი პრობლემები (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური... ლიტერატურის მიმოხილვა)** (5 კრედიტი)

მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ეთნოსის ძირითადი მახასიათებლებია: ენა, საერთო ტერიტორია, კულტურა, თვითშეგნება ("ეთნოსი და ერი ენობრივ-კულტურულ-ფსიქიკური ისტორიული ერთობა"). ეთნოსის კულტურა კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან შეფარდებით იცვლება: მდიდრდება ან ღარიბდება. სანამ ერის ძირითადი მახასიათებელი უცვლელი რჩება, ეს ერი არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული ერის მომავალი თაობებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოკულტურული ისტორიის გააზრებულ ცოდნას.

წარმოდგენილი კურსით მაგისტრანტი გაეცნობა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ისტორიისა და კულტურის ძირითად საკითხებს; წინარექართველური ტომებისა და ქართველების ისტორიული საცხოვრისის საზღვრებს; ქართველთა და საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას.

სასწავლო კურსის მიზანია ასევე, მაგისტრანტებს მიეწოდოს ზოგადი ინფორმაცია ქართველოლოგიის დარგების შესწავლის ისტორიისა და ქართველოლოგიის ძირითადი პრობლემების შესახებ.

მაგისტრანტს მიღებული ცოდნის საფუძველზე საშუალება მიეცემა შემდგომში დამოუკიდებლად შეისწავლოს როგორც ქართველი ერის საერთოეროვნული მახასიათებლები, ასევე, ცალკეულ თემთა კუთხურ-ეთნოგრაფიული ნიშნებით გამორჩეული ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები.

კურსის კოდი: HLM0391

კურსის დასახელება: **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი** (5 კრედიტი)

იბერიულ-კავკასიური ენები ქართული/ქართველური ენის მონათესავეა, მათ საერთო წარმოშობა აერთიანებს, ამდენად, აღნიშნულ ენებს ბევრი საერთო აქვს. საერთო ენობრივი ნიშნები, რაც გამოვლინდება ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში, უწინარესია, ხოლო განსხვავებული მოვლენები მერმინდელია, განვითარების შედეგად წარმოქმნილი.

კურსის მიზანია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების (ფონემატური სტრუქტურა, ბრუნვათა რაოდენობა და ყალიბები, ზმნური სისტემა, სინტაქსური კონსტრუქცია, ლექსიკა) განხილვა არნ. ჩიქობავას "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალის" მიხედვით.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს ზოგადი წარმოდგენა ექნება იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ; შეეძლება იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ზოგადი ტიპოლოგიური დახასიათება, საერთო ენობრივ ტენდენციებზე მსჯელობა.

კურსის კოდი: HEM0800

კურსის დასახელება: **უცხო ენა (ინგლისური ენა) - I** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტს განუვითაროს მოსმენის, კითხვის, წერისა და საუბრის უნარ-ჩვევები უცხო ენის ცოდნის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. კურსი ემყარება ინგლისური ენის პრაქტიკულ სწავლებას და სტუდენტს საშუალებას მისცემს: - მოისმინოს და გაიგოს კომპლექსური შინაარსის მრავალფეროვანი აუდიო/ვიდეო ჩანაწერები აქტუალურ ან მისთვის საინტერესო თემატიკაზე; - წაიკითხოს და გაიგოს სხვადასხვა ჟანრისა თუ ტიპის, ლიტერატურული საგაზეთო პუბლიკაცია;

დაწეროს ესე აქტუალურ თემებზე/საკითხებზე, სადაც გამოვლინდება თხრობის , აღწერის, აზრის თანამიმდევრულად გადმოცემისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები;

- თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას; ისაუბროს მისთვის საინტერესო /სასურველ თემაზე; ლექციის მსვლელობისას კომუნიკაცია წარმართოს მთლიანად უცხოურ ენაზე, დახვეწოს და გაამდიდროს თვითგამოხატვის უნარი ინგლისურ ენაზე;
- ფლობდეს სათანადო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-ჩვევებს; სწორად იყენებდეს სხვადასხვა გრამატიკულ ფორმას, სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციებს და სხვადასხვა დამოკიდებულების გამოხატველ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს.

კურსის კოდი: HEM0810

კურსის დასახელება: **უცხო ენა (ინგლისური ენა) - II** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტს განუვითაროს მოსმენის, კითხვის, წერისა და საუბრის უნარ-ჩვევები უცხო ენის ცოდნის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. კურსი ემყარება ინგლისური ენის პრაქტიკულ სწავლებას და სტუდენტს საშუალებას მისცემს:

- მოისმინოს და გაიგოს კომპლექსური შინაარსის მრავალფეროვანი აუდიო/ვიდეო ჩანაწერები აქტუალურ ან მისთვის საინტერესო თემატიკაზე;
- წაიკითხოს და გაიგოს სხვადასხვა ჟანრისა თუ ტიპის , ლიტერატურული თუ ფუნქციური ინგლისურენოვანი ტექსტი, მაგალითად სამეცნიერო-პოპულარული სტატია, ესე, საგაზეთო პუბლიკაცია, ბუკლეტი, რეპორტაჟი და პუბლიკაციები, რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს, მსჯელობას კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით;
- დაწეროს სხვადასხვა ტექსტი (ესე, სტატია, საქმიანი წერილი და სხვა) აქტუალურ თემებზე/საკითხებზე, სადაც გამოვლინდება თხრობის , აღწერის, აზრის თანამიმდევრულად გადმოცემისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები;
- წარმოადგინოს ზეპირი მოხსენება (პრეზენტაცია) აქტუალური საკითხის, პრობლემის გარშემო; თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას; ისაუბროს მისთვის საინტერესო /სასურველ თემაზე; ლექციის მსვლელობისას კომუნიკაცია წარმართოს მთლიანად უცხოურ ენაზე, დახვეწოს და გაამდიდროს თვითგამოხატვის უნარი ინგლისურ ენაზე;
- ფლობდეს სათანადო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-ჩვევებს; სწორად იყენებდეს სხვადასხვა გრამატიკულ ფორმას, სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციებს და სხვადასხვა დამოკიდებულების გამოხატველ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს...

კურსის კოდი: HFM0800

კურსის დასახელება: **უცხო ენა (გერმანული ენა) - I** (5კრედიტი)

კურსის სწავლების მიზანია სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარება, რათა სტუდენტმა შეძლოს გერმანულენოვან გარემოში წარმატებული კომუნიკაცია და საფუძველი ჩაეყაროს მისი პროფესიული სრულყოფისათვის აუცილებელ ცოდნას. კურსი ითვალისწინებს როგორც ლექსიკის, გრამატიკის, ფონეტიკის და მართლწერის სწავლებას, ასევე გერმანული კულტურის შესახებ ცოდნის გაღრმავებას.

კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს:

- კითხვა: ავთენტური ან ნახევრად ავთენტური ტექსტის გაგება-განალიზება კითხვის სხვადასხვა ტექნიკის (*გლობალური, დეტალური, სელექციური*) გამოყენებით. ნაცნობი ტექსტის გამართულად წაკითხვა შესაბამისი კითხვის წესების დაცვით.
 - საუბარი: სწორი მახვილებით და ინტონაციით საუბარი, თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას; მონაწილეობა მიიღოს ინტერაქციაში; ისაუბროს გაბმულად და გამოიყენოს ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიები.
- მოსმენა: გაიგოს დიდაქტიზირებული და ნახევრად ავთენტური დიალოგები, საინფორმაციო აუდიოჩანაწერები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებები, რადიორეპორტაჟები და. ა. შ.; ინტონაციით განასხვავოს სათქმელის მოდალობა (*შეკითხვა, თხოვნა, მოთხოვნა და სხვა*).

დ) წერა: მართლწერის წესების დაცვით მეგობრული თუ საქმიანი წერილების, მარტივი საგაზეთო სტატიის, სატელევიზიო პროგრამის, მცირე მოცულობის თხრობითი ტექსტის შედგენა.

კურსის კოდი: HFM0810

კურსის დასახელება: **უცხო ენა (გერმანული ენა) -II** (5 კრედიტი)

სწავლების მიზანია წინა სემესტრში დაწყებული გერმანული ენის პრაქტიკული კურსის გაგრძელება, უკვე მიღებული ცოდნისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) განვითარება და სრულყოფა, გერმანული კულტურის შესახებ ცოდნის გაღრმავება, ასევე - მაგისტრანტისათვის გერმანულ ენაზე დარგობრივი ინფორმაციისა და სამეცნიერო ცოდნის მოწოდება.

კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი კონკრეტულ საკითხზე განვლილი თემატიკის ირგვლივ აქტიური მონაწილეობა მიიღოს დებატებში; ლოგიკურად და კოჰერენტულად გადმოსცეს წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსი; გააკეთოს მოკლე ზეპირი პრეზენტაცია; დაწეროს სამოტივაციო წერილი, მოკლე შეტყობინება, რეკლამა, ოფიციალური და არაოფიციალური წერილი გერმანულ ენაზე. მაგისტრანტი შეძლებს ნორმატიული ენობრივი სტრუქტურების გამოყენებით დიალოგის გამართვას და გერმანულენოვან კომუნიკაციაში ჩართვას.□

კურსის კოდი: HFM0820

კურსის დასახელება: **უცხო ენა (ფრანგული ენა) - I** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია ფრანგული ენის კომპლექსურად სწავლების გზით მოხდეს მოსმენის, კითხვის, საუბრისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. კურსი უპირატესობას ანიჭებს ენის გამოყენებისა და შესწავლის აქტივობებზე ორიენტირებულ მეთოდებს, ავითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას, აყალიბებს განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარს.

კურსის დამთავრების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს:

გაიგოს ფრანგულ ენაზე მოსაუბრეთა მეტყველება შესწავლილი ლექსიკური თუ გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით; შეაფასოს მოსმენილი ფრანგულენოვანი პროგრამები (რადიო, ტელევიზია) და ახსნას მათი მნიშვნელობა; შეარჩიოს და დააკავშიროს სასაუბრო ფრაზები ზეპირმეტყველების სრულყოფისათვის; ამოიცნოს ძირითადი აზრი მისი მისამართით მიწერილ ფორმალურ და არაფორმალურ წერილებში, იმეილებში და მოამზადოს შესაბამისი პასუხი.

კურსის კოდი: HFM0830

კურსის დასახელება: **უცხო ენა (ფრანგული ენა) - II** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია წინა სასწავლო კურსზე მიღებული ცოდნის გაღრმავება, იმ სამეტყველო უნარ-ჩვევების განმტკიცება, რომლებიც მაგისტრანტებს მისცემს უცხოენოვან გარემოში კომუნიკაციის, შეძენილი პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენების საშუალებას. კურსი ასევე მიზნად ისახავს მაგისტრანტების მომზადებას ფრანგული ენის სწავლების შემდგომი, უფრო მაღალი საფეხურისათვის.

მაგისტრანტმა უნდა შეძლოს: სხვადასხვა ასპექტებში მიღებული ცოდნის აქტივაცია სათანადო სიტუაციების შესაბამისად; სხვადასხვა შინაარსისა და საკომუნიკაციო დანიშნულების ტექსტის თანმიმდევრულად ჩამოყალიბება როგორც თხრობით, ასევე წერილობით; საკუთარი მოსაზრების, არგუმენტების, სურვილების გამოხატვა-დასაბუთება; ლოგიკურად გადმოსცეს წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსი; მონაწილეობა დებატებში.

კურსის კოდი: HLM0400

კურსის დასახელება: **თავისებურ ქართულ ზმნათა პარადიგმები** (5 კრედიტი)

ქართულში ზმნურ ფორმათა წარმოება ზოგადად თავსდება ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე სტრუქტურულ ყალიბებში. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე წარმოების ორდინალური ფორმების გვერდით ენაში ბუნებრივად იჩინა თავი ცალკეულმა თავისებურებებმა, რაც თანამედროვე ქართულში გამოვლენილია დეფექტური ზმნების სახით. ცხადია, ყოველი თავისებურება არაა ნებისმიერი და შემთხვევითი; აქაც მოქმედებს გარკვეული ენობრივი კანონზომიერება და იქმნება თავისებურ ზმნათა პარადიგმატული სისტემა.

საგნის მიზანია ქართული ზმნის თავისებურ ფორმათა გაჩენისა და გამოყენების შემთხვევათა შესწავლა დიაქრონიული ასპექტით; ქართული სამწიგნობრო ენის ზმნური ყალიბების ისტორიის (ცვლილებების) გაცნობა V საუკუნიდან დღემდე; მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების ანალიზი.

მაგისტრანტი კურსის გავლის შემდეგ უნდა იცნობდეს ქართული ენის მორფოლოგიის პრობლემურ საკითხებს; შეეძლოს დეფექტურ ზმნათა პარადიგმატულ სისტემაში გარკვევა, სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითა და საკუთარი მსჯელობის საფუძველზე წარმოების ცალკეულ თავისებურებათა ახსნა.

კურსის კოდი: HLM0410

კურსის დასახელება: **მესხური კილოების პრაქტიკული კურსი** (5 კრედიტი)

სასწავლო კურსი ითვალისწინებს მესხური კილოების პრაქტიკულ შესწავლას, იმერხეული დიალექტური მეტყველების დაუფლებას, ძირითადი ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური...) მოვლენების გაცნობას.

ენობრივ საკითხებთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან ლექსიკურ ერთეულებს ცალკეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს მესხური (იმერხეული) მეტყველების სრულფასოვნად დაუფლებას.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს საფუძვლიანად ეცოდინება იმერხეული კილოს ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურა; მიღებული ცოდნის საფუძველზე მას შეეძლება იმერხეული დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი; შედარება სხვა ქართველურ კილოებთან და მსგავსება-განსხვავებებზე მეცნიერული მსჯელობა.

კურსის კოდი: HLM0421

კურსის დასახელება: **საქართველოს გარეთ არსებული ქართველური კილოების პრაქტიკული** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველური კილოების (ფერეიდნულის, ყიზლარ-მოზდოკურის, "ჩვენებურთა" მეტყველების) პრაქტიკული შესწავლა, მათთვის ნიშანდობლივი დიალექტური თავისებურებების ანალიზი.

აღნიშნულ კილოებს სრულიად უცხო მიწაზე და უცხო ენების გარემოცვაში უხდებათ არსებობა: ფერეიდნულზე ზემოქმედებს სპარსული, ჩვენებურების მეტყველებაზე - თურქული, ხოლო ყიზლარ-მოზდოკელ ქართველთა მეტყველებაზე - რუსული. ამდენად, საინტერესოა ენათა ინტეგრაციის, სამეტყველო კოდების შერევის პირობებში ქართული კილოების განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს საფუძვლიანად ეცოდინება საქართველოს გარეთ არსებული ქართველური კილოების გრამატიკული სტრუქტურა; მას შეეძლება აღნიშნული

დიალექტური ტექსტების ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური...) ანალიზი.

კურსის კოდი: HLM0431

კურსის დასახელება: **ფხოური კილოების პრაქტიკული კურსი** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია ფხოური კილოების პრაქტიკული შესწავლა, ფხოური დიალექტური მეტყველების დაუფლება, ძირითადი ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური...) მოვლენების გაცნობა.

ენობრივ საკითხებთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან ლექსიკურ ერთეულებს ცალკეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს ფხოური კილოების სრულფასოვნად დაუფლებას.

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტს საფუძვლიანად ეცოდინება ფხოურ კილოთა გრამატიკული სტრუქტურა; მას შეეძლება ფხოური დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი.

კურსის კოდი: HLM0441

კურსის დასახელება: **ჰერული კილოების პრაქტიკული კურსი** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია ჰერული კილოების (კაკურისა და ალიაბადურის) პრაქტიკული შესწავლა, ჰერული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური...) თავისებურებების გაცნობა; აზერბაიჯანული ენის გავლენით წარმოქმნილი დიალექტური მრავალფეროვნების ჩვენება...

სტუდენტები შეისწავლიან აგრეთვე ჰერულ კილოთა ლექსიკას, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, რაც ხელს შეუწყობს ჰერული მეტყველების სრულფასოვნად დაუფლებას.

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტს საფუძვლიანად ეცოდინება ჰერულ კილოთა გრამატიკული სტრუქტურა; მას შეეძლება კაკური და ალიაბადური დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი; მარტივი კონსტრუქციების შედგენა და სხვ.

კურსის კოდი: HLM0451

კურსის დასახელება: **ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია** (5 კრედიტი)

ქართული ენის მომავალი სპეციალისტის მიერ ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავების პირობების ცოდნას, ნორმირების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა-დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სასწავლო კურსი შეისწავლის ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიის საკითხებს, სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგად საფუძვლებსა და ნორმათა დადგენის პრინციპებს.

მაგისტრანტს უნდა შეემლოს:

- ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიაში მომხდარ ძირითად ცვლილებათა გაანალიზება, ძველი და ახალი ნორმების შეპირისპირება, ნორმირების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა-დამუშავება;
- სალიტერატურო ენის ნორმირების პრობლემურ საკითხებში გარკვევა;
- ენაში გამოვლენილ ცვლილებათა პერსპექტივის განსაზღვრა.

კურსის კოდი: HLM0301

კურსის დასახელება: **ქართველური ონომასტიკა** (5 კრედიტი)

კურსში დაწვრილებით განიხილება ქართველური (რიგ შემთხვევებში - კავკასიის) ონომასტიკური ერთეულები: ეთნონიმები, თემონიმები, ქორონიმები, ადამიანის (და ცხოველის) საკუთარი სახელები, გვარები, გვარმეტები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები... ყურადღება მახვილდება მოტივაციურ მოდელებსა (სახელების პრინციპებზე) და საკუთარ სახელთა კავშირზე ისტორიულ მოვლენებთან, პროცესებთან...

მაგისტრანტებს საშუალება ექნებათ, აქტიურად განიხილონ და გაიაზრონ საკუთარ სახელთა ჩამოყალიბება-განვითარების ძირითადი ტენდენციები სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით.

კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტს ეცოდინება საქართველოს ონომასტიკური ერთეულების ისტორია, ექნება ამ მიმართულებით კვლევა-ძიების უნარ-ჩვევები და, ზოგადად, საკუთარ სახელთა სახელებისა და ეტიმოლოგიის პრობლემების შესახებ შეეძლება აკადემიური მსჯელობა.

კურსის კოდი: HLM0471

კურსის დასახელება: **ქართული დისკურსი და ლინგვოკულტუროლოგია** (5 კრედიტი)

სასწავლო კურსის მიზანია ქართული ენის ლინგვოკულტურული ფენომენის ანალიზი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ჭრილში, დისკურსის კვლევის ხერხების სწავლება, ქართული დისკურსის ლინგვოკულტურული სივრცის ანალიზი და შესწავლა, მხატვრული დისკურსის ლინგვოკულტურული ასპექტების წარმოჩენა, ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევათა წყაროების შესწავლა, ქართული და უცხოური დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიური შეხვედრების მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზი თარგმანების მიხედვით.

კურსის კოდი: HLM0501

კურსის დასახელება: **სამეცნიერო წერის საფუძვლები** (5 კრედიტი)

სამეცნიერო წერის საფუძვლების კურსის მიზანია მაგისტრანტებს გააცნოს წერის ზოგადი პრინციპები და გამოუმუშაოს აკადემიური კვლევისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნების, საკუთარი შეხედულებების დაცვისა და დასაბუთების, შეფასების უნარი.

მაგისტრანტები თანმიმდევრულად აითვისებენ წერის, როგორც პროცესის, ყველა სტადიას, შეისწავლიან სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურისა და ორგანიზების თავისებურებებს; ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის უმთავრეს მახასიათებლებს, რეფერირებისა და რეცენზირების თავისებურებებს. გაეცნობიან ციტირების, გამოყენებული ლიტერატურისა თუ სხვა წყაროების დამოწმების წესს. უკეთ გააცნობიერებენ აკადემიური ნაშრომის სპეციფიკას, გამოიმუშავენ წერის ორიგინალურ და დახვეწილ სტილს. შეძლებენ სამეცნიერო სტილის ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინებას... მაგისტრანტებს ჩამოუყალიბდებათ სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისა და აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლის პრაქტიკული ჩვევები.

კურსის კოდი: HLM0511

კურსის დასახელება: **თანამედროვე ლინგვისტური თეორიები (მიმდინარეობები)** (5 კრედიტი)

კურსის მიზანია გააცნოს მაგისტრანტებს თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი თეორიები. განხილული იქნება სოციოლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და სხვა არსებითი თეორიული მიღწევები. კურსი მოახდენს მაგისტრანტთა გაცნობიერებას თანამედროვე

ლინგვისტურ პრობლემატიკაში, რომელიც, თავის მხრივ, დიდადაა მიზმიანი ენობრივი პოლიტიკისა თუ ენობრივი ცნობიერების ძირითად ასპექტებთან.

მოცემული კურსი განიხილავს ძირითად ლინგვისტურ თეორიულ მიღწევებს, ყოველი თეორიული მოდელი განხილული იქნება კონკრეტული ენის ემპირიული მოდელით.